საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/246 „ 29 „ დეკემბერი 202 0 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის გ. შავლიაშვილისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №1/71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემოსული საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 დეკემბრის №01/20/38 წერილით მოთხოვნილია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის გიორგი შავლიაშვილისათვის უფლებამოსილების ვადის დამატებით გაგრძელების თაობაზე. მოსამართლე გიორგი შავლიაშვილს დღეისათვის წარმოებაში აქვს 109 საქმე, რომელთა გადანაწილება სისხლის სამართლის საქმეთა პალატის შემადგენლობაში მყოფ სხვა მოსამართლეებზე მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის გ. შავლიაშვილისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №1/71 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 აბზაცში მითითებული ვადა ნაცვლად „არაუმეტეს 2021 წლის 1 იანვრისა“ განისაზღვროს „არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისისა“.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე